

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	165,635	60,013
საფაქრო მოთხოვნები	190,476	219,316
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	29,627	271,941
მარაგები	1,208,575	1,081,029
- შხა პროდუქცია		
- სხვა	1,208,575	1,081,029
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	-	11,428
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	2,202	2,590
ძირითადი საშუალებები	69,400	76,541
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	1,665,915	1,722,858
ვალდებულებები		
ფინანსური ოჯარის ვალდებულება		
საფაქრო ვალდებულებები	47	28,182
ვალდებულებების და ხარულების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	



გ. ქათამაძე

საგადასახადო ვალდებულებები	51,625	
გამოუზღვევებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესიო ვალდებულებები	240,328	223,486
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები	-	-
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	292,000	251,668
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'საკუთარი შემოსავალი')	70,650	70,650
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,303,265	1,400,540
გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1,373,915	1,471,190
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,665,915	1,722,858

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	2,909,735
საქონლის გაყიდვიდან	2,909,735
მომსახურების გაწევიდან	-
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	-
სხვა	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,881,028
საწყისი მარაგები	1,081,029
მარაგების შესყიდვა	2,008,574



ქ. ჩაიანაძე

გადაამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	1,208,575
საერთო მოგება	1,028,707

სხვა შემოსავალი	368
დასაქმებულთა ანაზღაურება	(304,460)
ცვეთა და ამორტიზაცია	(15,164)
საპროექტო შემოსავალი:	
საპროექტო ხარჯი:	(23,848)
ოჯარის ხარჯი	(140,008)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(88,642)
სულ საოპერაციო ხარჯები	(571,754)

საოპერაციო მოგება	456,953
-------------------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	7,652
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	464,605
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	464,605

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	



Handwritten signature in blue ink.

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,471,190
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება შესაკუთრებელზე (მათ შორის დივიდენდი)	(537,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	439,725
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს	1,373,915

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საიპერაციო საქმიანობიდან	625,780
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(520,158)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	105,622
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	60,013
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	165,635



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	165,635	60,013
სავაჭრო მოთხოვნები	190,476	219,316
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	29,627	271,941
მარაგები	1,208,575	1,081,029
- მზა პროდუქცია		
- სხვა	1,208,575	1,081,029
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	-	11,428
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	2,202	2,590
ძირითადი საშუალებები	69,400	76,541
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	1,665,915	1,722,858
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	47	28,182
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	
საგადასახადო ვალდებულებები	51,625	
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	240,328	223,486
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	292,000	251,668
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'სააქციო კაპიტალი')	70,650	70,650
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,303,265	1,400,540
გადაფასების რეზერვი	-	
სხვა რეზერვები	-	
სულ საკუთარი კაპიტალი	1,373,915	1,471,190
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,665,915	1,722,858

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	2,909,735
საქონლის გაყიდვიდან	2,909,735
მომსახურების გაწევიდან	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-
სხვა	-

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,881,028
საწყისი მარაგები	1,081,029
მარაგების შესყიდვა	2,008,574
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	1,208,575
საერთო მოგება	1,028,707

სხვა შემოსავალი	368
დასაქმებულთა ანაზღაურება	(304,460)
ცვეთა და ამორტიზაცია	(15,164)
საპროცენტო შემოსავალი:	
საპროცენტო ხარჯი :	(23,848)
იჯარის ხარჯი	(140,008)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(88,642)
სულ საოპერაციო ხარჯები	(571,754)

საოპერაციო მოგება	456,953
--------------------------	----------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	7,652
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	464,605
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	464,605

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,471,190
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(537,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	439,725
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,373,915

-
-

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	625,780
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(520,158)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	105,622
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	60,013
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	165,635

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბარაქა 2010“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები (მოგება - ზარალი)	4
1. შესავალი	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	6
4. ძირითადი საშუალებები	7
5. ცვეტა	7
6. არამატერიალური აქტივი	8
7. სასაქონლო მატერიალური მარაგები	8
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9
10. ამონაგები	10
11. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	10
12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10
13. მოგების გადასახადი	11
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	11

1. შესავალი

ორგანიზაცია და მისი ოპერაციები

შპს „ბარაქა 2010“ დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. ორგანიზაცია დაარსდა 2009 წლის 21 სექტემბერს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 202461763;

ორგანიზაციის 100%-იანი მფლობელი არის ფიზიკური პირი ზურაბ ქათამაძე.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო, სარემონტო მასალების საბითუმო და საცალო ვაჭრობა;

შპს „ბარაქა 2010“-ში დასაქმებულია 17 ადამიანი, კომპანიაში დაცულია და ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხოებას.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ.34.

რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ.34.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებდა საბუღალტრო პროგრამა „ორის“ 2009 წლიდან 2013 წლამდე. 2013 წლიდან იყენებს საბუღალტრო პროგრამა „ფინასს“.

3. საოპერაციო დაანგარიშების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ორგანიზაციის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს, და რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2018 წლის 31	2017 წლის 31
	დეკემბერი	დეკემბერი
1 დოლარი (\$)/ლარი (GEL)	2.6766	2.5922
1 ევრო (EUR)/ლარი (GEL)	3.0701	3.1044

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში (ლარი) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით.

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო და სალაროს ანგარიშებზე გათავსებული ნაშთებისგან.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივის ფინანსური ვალდებულება გამოშვებას. რეალური ღირებულების თავდაპირველი აღიარებისთვის საუკეთესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ მაშინ, როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებას, როდესაც აქტივები გამოსყიდულია, აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადების მოთხოვნა აღარ არსებობს. კომპანიამ გადასცა აქტივიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკებს და სხვა სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

5. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასიცოცხლო პერიოდი

შენობა-ნაგებობები 30-50წელი

მანქანა-დანადგარები 5-10 წელი

ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა 5 – 7 წელი

ძირითადი საშუალებები

	ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო	მანქანა-დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	არამატერიალური აქტივი	ჯამი
	საწყისი საბალანსო ღირებულება	173 161	23 206	22 594	4 969	193 930
2018 წელი	დამატებული (შემცირებული) ძირ.საშ-ის ღირ-ბა 2018 წ	8 070	3 644	-1 038		7 032
	ჯამური ცვეთა	97 846	15 878	12 870	2 767	129 361
	ნარჩენი ღირებულება 31.12.2018	53 385	7 328	8 686	2 202	71 601

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ და პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან. აქტივის გაუფასურების ზარალი მაშინ წარმოიშობა, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

კომპანიის კუთვნილი სასაქონლო მატერიალური მარაგები ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე შედგება სხვადასხვა სახის სამშენებლო და სხვა მსგავსი საქონლისაგან, რომლებიც არაა მალფუჭებადი და ამ მიზეზით მათი ჩამოწერის პრობლემა კომპანიას არ გააჩნია.

მარაგები კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2018 წლის 31 დეკემბერს შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

ლარში	31/12/2018
საქონელი	1 191 450
სხვა მარაგები	17 125
სულ მარაგები	1 208 575

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ეს არის მოკლევადიანი მოთხოვნები ორგანიზაციებთან, რომელიც შემდეგნაირად არის წარმოდგენილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები მიწოდებიდან	190 476
სულ მოთხოვნები	190 476

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი 2018
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	47

სასესხო ვალდებულებები	240 328
სულ	240 375

10. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლებით გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ამონაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

საქონლის გაყიდვიდან		2 909 735
არასაოპერაციო		14 773
ჯამი		2 924 508

11. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

31 დეკემბერი, 2018

პროდუქტის თვითღირებულება 1 881 028

სულ თვითღირებულება 1 881 028

13. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

დ) სსკ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის მაისში დამფუძნებლის მიერ მიღებულია განხილული წინა წლის შედეგები და დამტკიცებულია ისინი.

მ. ქაიჭაძე

